ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2022 წლის **10 ნოემბრის** სხდომის

ოქმი # 8

სხდომას ესწრებოდა: სიითი შემადგენლობის 34 წევრიდან - 20.

დღის წესრიგი:

1. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის არჩევნების გამოცხადება
   მომხს: თ. დოლბაია
2. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა
   მომხს: თ. დოლბაია
3. ზურაბ აბაშიძის განცხადების განხილვა
   მომხს: თ. დოლბაია
4. 2023 – 2024 სასწავლო წლის ბაკალავრიატის ანკეტა - კითხვარის დამტკიცება
   მომხს: თ. დოლბაია
5. ბსუ-სა და თსუ-ს ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის - „ „ციფრული მედიისა და ინოვაციების“ ფარგლებში არსებული მმართველი კომისიის შესახებ
   მომხს: თ. დოლბაია
6. ფაკულტეტის საბჭოს წევრთა ცვლილების შესახებ
   მომხს: თ. დოლბაია
7. პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტ ხატია ჩხვიმიანის სადისერტაციო თემის სახელწოდებისა და ხელმძღვანელის დამტკიცება
   მომხს: თ. მატარაძე
8. კონფლიქტების ანალიზისა და მართვის სადოქტორო პროგრამის მე-4 სემესტრის დოქტორანტ თათია ქართლელიშვილის სადისერტაციო ნაშრომის სათაურის დამტკიცება
   მომხს: თ. მატარაძე
9. ,,საზოგადოებრივი გეოგრაფიის'' სადოქტორო პროგრამის დაცვის კანდიდატ გვანცა სალუქვაძის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის თარიღის დამტკიცება
   მომხს: თ. მატარაძე
10. „საერთაშორისო ურთიერთობების“ სადოქტორო პროგრამისა და „ჟურნლისტიკისა და მასკომუნიკაციის“ (ქართულ-რუსულენოვანი) საბაკალავრო პროგრამის კვალიფიკაციის ეროვნულ ჩარჩოსთან შესაბამისობაზე წარდგენის შესახებ
    მომხს: რ. ჯორბენაძე

მოისმინეს: 1. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის არჩევნების გამოცხადების შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის დეკანმა, თ. დოლბაიამ. მან დამსწრეთ გააცნო დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც უნდა წარიმართოს დეკანის არჩევნები. ესაა **თსუ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 10 ნოემბრის #111 დადგენილებით დამტკიცებული, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის საარჩევნო პროცედურები (ოქმს თან ერთვის),** რომელშიც შევა დღევანდელობით გამოწვეული კორექტივები, კერძოდ: მუხლი 2.2 - ს დაემატება პუნქტი ზ) ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ

აზრი გამოთქვეს: გ. გოგსაძემ, ნ. დურგლიშვილმა, მ. წერეთელმა, მ. მაცაბერიძემ, ა. ბერძენიშვილმა და სხვ.

დაადგინეს: **სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის არჩევნები ჩატარდეს 2022 წლის 19 დეკემბერს, 12.00 - 15.00 სთ-ზე, მე-6 კორპუსის დარბაზში (#303);**

კანდიდატთა საბუთები მიიღება: 12 დეკემბრიდან 16 დეკემბრის 13.00 სთ-მდე, მე - 6 კორპუსის 203/ა ოთახში;

„საარჩევნო პროცედურების“ მუხლ 2.2 - ს დაემატოს პუნქტი ზ) ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ.

მოისმინეს: 2. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი დამსწრეთ გააცნო ფაკულტეტის დეკანმა თ. დოლბაიამ. მან აღნიშნა, რომ მატებაა აკადემიური (36 840.00 ლარი) და ადმინისტრაციულ-დამხმარე (11 280.00 ლარი) პერსონალის სახელფასო სარგოებში, რომელიც 2022 წელს განხორციელდა და 2023 წლის ბიუჯეტში აისახა და სტუდენტთა პრაქტიკისა და ექსპედიციის ხარჯებში(35 000 ლარის ნაცვლად 50 000 ლარი)

აზრი გამოთქვეს: ნ. დურგლიშვილმა, რ. ჯორბენაძემ, გ. გოგსაძემ, ა. ბერძენიშვილმა. ასევე, სტუდენტებმა ითხოვეს 2.2.4.2. პუნქტში 3000 ლარის დამატება

დაადგინეს: სტუდენტთა თხოვნის გათვალისწინებით, 2.2.4.1. პუნქტიდან, 2.2.4.2. პუნქტში გადატანილ იქნეს 5000 ლარი და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი წარმოდგენილი სახით გადაეცეს თსუ-ის წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად.

მოისმინეს: 3. ასოცირებული პროფესორის, ზურაბ აბაშიძის განცხადება, სამეცნიერო - შემოქმედებით შვებულებაში გასვლის თხოვნით, დამსწრეთ გააცნო ფაკულტეტის დეკანმა თ. დოლბაიამ. მან აღნიშნა, რომ ზ. აბაშიძისგან ამ ტიპის განცხადება, ჯერ კიდევ სექტემბერში მიიღო, მაგრამ მასში არ იყო დაზუსტებული ის სამეცნიერო აქტივობები, რომლის განხორციელებასაც ბატონი ზურაბი აპირებდა. ამ განცხადებით, ითხოვს რა შვებულებას, ზ. აბაშიძე ვალდებულებას იღებს: შექმნას ახალი წიგნი, სავარაუდო სათაურით „ცივი ომი 21- ე

საუკუნეში“ და დაწეროს სტატია, „თანამედროვე რუსეთის ქცევის საწყისები“, რომელიც გამოქვეყნდება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალში - „მოამბე“.

აზრი გამოთქვეს: ნ. ბელქანიამ, გ. გოგსაძემ, მ. წერეთელმა და სხვ.

დაადგინეს: მიეცეს რეკომენდაცია თსუ-ის რექტორის მ.შ - ის წინაშე 2022 წლის 1 ნოემბრიდან 9 თვიანი სამეცნიერო - შემოქმედებითი შვებულების გაფორმების შესახებ და დაევალოს დაბეჭდოს სტატია „თანამედროვე რუსეთის ქცევის საწყისები“, რომელიც გამოქვეყნდება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალში - „მოამბე“ და შექმნას ახალი წიგნი, სავარაუდო სათაურით „ცივი ომი 21- ე საუკუნეში“.

მოისმინეს: 4. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის 2022 – 2023 სასწავლო წლის ბაკალავრიატის ანკეტა - კითხვარი დამსწრეთ წარუდგინა ფაკულტეტის დეკანმა თ. დოლბაიამ

აზრი გამოთქვეს: მ. მაცაბერიძემ, გ. გოგსაძემ, ფ. ასანიშვილმა, ა. ბერძენიშვილმა, რ. ჯორბენაძემ და სხვ.

დაადგინეს: დამტკიცდეს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის 2023 წლის ბაკალავრიატის ანკეტა - კითხვარი წარმოდგენილი სახით (ოქმს თან ერთვის)

მოისმინეს: 5. ფაკულტეტის დეკანმა, თ. დოლბაიამ, დამსწრეთ შეახსენა, რომ „ციფრული მედიისა და ინოვაციების“ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ხორციელდება თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტისა და ბსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტების თანამშრომლობით, ეყრდნობა უნივერსიტეტებს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას, რომელიც არეგულირებს ადმინისტრაციულ და სასწავლო პროცესებს. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროგრამის მმართველი კომისია შეიქმნა და დამტკიცდა ფაკულტეტის საბჭოს 2022 წლის 3 ივლისის სხდომის # 6 ოქმით. ეს განპირობებული იყო პროგრამაზე სტუდენტთა მისაღები გამოცდების ხელშეწყობის მიზნით. გამოვლინდა ხელშეკრულებით გაწერილი მისაღები და სხვა პროცედურების ხარვეზები, რომლის აღმოსაფხვრელად სამუშაო ჯგუფია შექმნილი და დეკანმა დასვა საკითხი მმართველი კომისიის გაუქმების შესახებ

აზრი გამოთქვეს: მ. წერეთელმა, მ. შამილიშვილმა, ნ. დურგლიშვილმა და სხვ.

დაადგინეს: გაუქმდეს ფაკულტეტის საბჭოს 2022 წლის 3 ივლისის სხდომის # 6 ოქმით დამტკიცებული „ციფრული მედიისა და ინოვაციების“ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მმართველი კომისია.

მოისმინეს: 6. ფაკულტეტის დეკანმა, თ .დოლბაიამ დამსწრეთ გააცნო საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების ხელმძღვანელის წერილი, ფაკულტეტის საბჭოში მიმართულებიდან წევრთა შეცვლა - დამატების შესახებ (ოქმს თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს: ფ. ასანიშვილმა, ნ. დურგლიშვილმა, ს. დუნდუამ, რ. ჯორბენაძემ და სხვ.

დაადგინეს: შევიიდეს ცვლილება ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაში და საერთაშორისო მიმართულების წარმომადგენელი თორნიკე თურმანიძე, ჩანაცვლდეს კ. შუბითიძის კანდიდატურით, ხოლო მეოთხე წევრად დაემატოს დ. მაცაბერიძე

მოისმინეს: 7. პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის V სემესტრის დოქტორანტ ხატია ჩხვიმიანის განცხადება მისთვის სადისერტაციო თემისა და ხელმძღვანელის დამტკიცების შესახებ, დამსწრეთ გააცნო თეონა მატარაძემ. თ. მატარაძემ აღნიშნა, რომ ეს საკითხი უნდა გამოტანილიყო წინა საბჭოზე, როცა სპეციალისტ თ. ქართლელიშვილის დაუდევრობის გამო დოქტორანტთა სადისერტაციო თემების და ხელმძღვანელთა დამტკიცება ვადის დარღვევით მოხდა, მაგრამ გამორჩათ

აზრი გამოთქვეს: თ. დოლბაიამ, ნ. დურგლიშვილმა, ზვ. აბაშიძემ და სხვ.

დაადგინეს: პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ხატია ჩხვიმიანის სადისერტაციო ნაშრომის სათაურად დამტკიცდეს: ,,პოსტსაბჭოთა ნოსტალგიის მიმართება პოლიტიკური კულტურის კონცეპტთან: საქართველოს მაგალითი'', ხოლო სამეცნიერო ხელმძღვანელად - ასოცირებული პროფესორი ზვიად აბაშიძე

მოისმინეს: 8. „კონფლიქტების ანალიზისა და მართვის" სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ თათია ქართლელიშვილის განცხადება სადისერტაციო თემის დამტკიცების შესახებ, დამსწრეთ გააცნო თეონა მატარაძემ

აზრი გამოთქვეს: რ .ჯორბენაძემ, გ. გოგსაძემ, ა. ბერძენიშვილმა და სხვ.

დაადგინეს: „კონფლიქტების ანალიზისა და მართვის სადოქტორო პროგრამის მე-4 სემესტრის დოქტორანტ თათია ქართლელიშვილის სადისერტაციო ნაშრომის სათაურად დამტკიცდეს: ,,პოსტსოციალისტურ სამთამადნო ქალაქებში არსებული კონფლიქტების ანალიზი ქალაქ ჭიათურის მაგალითზე''

მოისმინეს: 9. ,,საზოგადოებრივი გეოგრაფიის'' სადოქტორო პროგრამის დაცვის კანდიდატ გვანცა სალუქვაძის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის თარიღი დასამტკიცებლად წარმოადგინა თ. მატარაძემ

აზრი გამოთქვეს: თ. დოლბაიამ, ნ. პავლიაშვილმა, გ. გოგსაძემ და სხვ.

დაადგინეს: ,,საზოგადოებრივი გეოგრაფიის'' სადოქტორო პროგრამის დაცვის კანდიდატ გვანცა სალუქვაძის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის თარიღად დამტკიცდეს 2022 წლის 15 დეკემბერი; დაცვა ჩატარდეს 16:00 საათზე, თსუ-ის პირველი კორპუსის #115 აუდიტორიაში.

მოისმინეს: 10. „საერთაშორისო ურთიერთობების“ სადოქტორო პროგრამისა და „ჟურნლისტიკისა და მასკომუნიკაციის“ (ქართულ-რუსულენოვანი) საბაკალავრო პროგრამის კვალიფიკაციის ეროვნულ ჩარჩოსთან შესაბამისობაზე წარდგენის აუცილებლობის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, რ. ჯორბენაძემ. მან თქვა , რომ ორივე პროგრამას კვალიფიკაციის ეროვნულ ჩარჩოში ჰქონდა „07 „ კოდი, რომელიც შეიცვალა შესაბამისად 0312.1.2 და 0321.1.1. კოდებით. შეიცვალა „ჟურნლისტიკისა და მასკომუნიკაციის“ (ქართულ-რუსულენოვანი) საბაკალავრო პროგრამის მისანიჭებელი ხარისხი და სოციალური მეცნიერების ბაკალავრის ნაცვლად, გახდა ჟურნალისტიკის ბაკალავრი

აზრი გამოთქვეს: მ. შამილიშვილმა, ხ. მაისაშვილმა, ფ. ასანიშვილმა და სხვ.

დაადგინეს: „საერთაშორისო ურთიერთობების“ სადოქტორო პროგრამა და „ჟურნლისტიკისა და მასკომუნიკაციის“ (ქართულ-რუსულენოვანი) საბაკალავრო პროგრამის მოყვანილ იქნეს კვალიფიკაციის ეროვნულ ჩარჩოსთან შესაბამისობაში და შემდგომი მსვლელობისთვის წარედგინოს თსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე: თ. დოლბაია, ასოცირებული პროფესორი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი: ხ. დუნდუა, ასოცირებული პროფესორი

ფაკულტეტის საბჭო, 10 ნოემბერი, 2022

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭო

ფაკულტეტის დეკანი

1. თამარ დოლბაია

სოციოლოგიის და სოციალური მუშაობის მიმართულება

2. იაგო კაჭკაჭიშვილი
3. ამირან ბერძენიშვილი
4. ნინო დურგლიშვილი
5. თამარ მახარაძე

საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება

6. ზურაბ დავითაშვილი
7. ფიქრია ასანიშვილი
8. თორნიკე თურმანიძე

პოლიტიკური მეცნიერების მიმართულება

9. ალექსანდრე კუხიანიძე
10. მალხაზ მაცაბერიძე
11. სალომე დუნდუა
12. ზვიად აბაშიძე

ჟურნალისტიკისა და მასკომუნიკაციის მიმართულება

13. ნინო ჭალაგანიძე
14. ხათუნა მაისაშვილი
15. მარი წერეთელი
16. მანანა შამილიშვილი
17. ნანა ტალახაძე

საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება

18. ნინო პავლიაშვილი
19. გიორგი გოგსაძე
20. ვაჟა ლორთქიფანიძე
21. ვალერიან მელიქიძე

ინტერდისციპლინური მიმართულება

22. რევაზ ჯორბენაძე
23. ნოდარ ბელქანია
24. ზურაბ აბაშიძე
25. თეონა მატარაძე

სტუდენტური თვითმმართველობა

26. ალექსანდრე გაბაშვილი
27. ცირა თოფურია
28. შოთა ქარქაშაძე
29. ზაქარია ნაჭყებია
30. ნინო პაქსაშვილი
31. თაკო წურწუმია
32. კახი კუჭუხიძე
33. რატი ხითარიძე

2023 წლის ბიუჯეტის პროექტი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

01 02 05	სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი	2023 წლის ბიუჯეტი
00	**ჯამური**	**3247280**
2	**ხარჯები**	**3237280**
2.1	**შრომის ანაზღაურება**	**2478720**
2.1.1	ხელფასები	2478720
2.1.1.1	ხელფასები ფულადი ფორმით	2478 720,00
2.1.1.1.1	თანამდებობრივი სარგო	2478 720,00
	თანამდებობრივი სარგო -აკადემიური პერსონალი	1761 600,00
	თანამდებობრივი სარგო -ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი	717 120,00
2.2	**საქონელი და მომსახურება**	**721000**
2.2.1	**შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება**	**521000**
	აკადემიური პერსონალის-საათობრივი ანაზღაურება და სხვა ხელშეკრულებები	350 000,00
	ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ანაზღაურება	120 000,00
	პოსდოქტორანტების ანაზღაურება	0,00
	უცხოეთიდან მოწვეული პერსონალის ანაზღაურება	20 000,00
	თარგმნის და რედაქტირების ანაზღაურება	6 000,00
	სახელმძღვანელოების კონკურსის ფარგლებში (ანაზღაურება)	25 000,00
2.2.2	**მივლინება**	**60000**
2.2.2.1	მივლინება ქვეყნის შიგნით	10 000,00
2.2.2.2	მივლინება ქვეყნის გარეთ	50 000,00
2.2.3	**ოფისის ხარჯები**	**40000**
2.2.3.3	**ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთების შეძენა და ამავე მიზნებთან დაკავშირებული საგამომცემლო-სასტამბო (არაძირითადი საქმიანობის) ხარჯები, საერთაშორისო ინდექსირებულ (1.2 და ზევით) ჟურნალებში გამოქვეყნების ხარჯები**	40 000,00
2.2.4	**წარმომადგენლობითი ხარჯები**	**47000**
2.2.4.1	მათ შორის: მიღებებისა და ოფიციალური სადილის, წვეულებისა და სხვა ღონისძიებების ხარჯები	7 000,00
2.2.4.2	მათ შორის: საექსკურსიო და კულტურულ–სანახაობათა ღონისძიების ხარჯი	5 000,00
2.2.4.3	მათ შორის:სასტუმროს მომსახურების(ადგილების დაჯავშნა, ცხოვრების ღირებულება და სხვა) ხარჯები	14 000,00
2.2.4.4	მათ შორის: აეროპორტში დახვედრა გაცილება, მგზავრობის ხარჯები	16 000,00
2.2.4.5	მათ შორის: სუვენირების შეძენის ხარჯები	5 000,00
2.2.10	**სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება**	**53 000**
	სესიების, კონფერენციების, ყრილობების, სემინარების და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯი	3 000,00
	სამეცნიერო კვლევების მიზნობრივი დაფინანსების მიზნით გაწეული ხარჯები(გრანტების თანადაფინანსების ხარჯი)	

	პრაქტიკისა და ექსპედიციის ხარჯები	50 000,00
2.8	**სხვა ხარჯები**	**37 560**
	მათ შორის :საუნივერსიტეტო დაფინანსება (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა)	
	მათ შორის:სტუდენტთა გაცვლით პროგრამებში, სხვადასხვა საშეცხიერო კონფერენციებში, იმიტირებულ პროცესებში და სხვა დაფინანსების ხარჯები.	37 560,00
31	**არაფინანსური აქტივების ზრდა**	**10 000**
	მათ შორის: წიგნები	10 000,00

სოციალურ დ პოლიტიკურ მეცნიერებათა
ფაკულტეტის დეკანს
ქალბატონ თამარ დოლბაიას

ასოცირებული პროფესორის
ზურაბ აბაშიძის

განცხადება

მოგახსენებთ, რომ ამჟამად ვმუშობ ახალ წიგნზე სავარაუდო სათაურით „ცივი ომი XXI საუკუნეში“, რომელიც გაგრძელება იქნება ჩემი ნაშრომისა „ცივი ომი: მოგზაურობა დღევანდელ წარსულში“ (გამოიცა 2021 წელს). აღნიშულ ახალ ნაშრომში აქცენტი გაკეთდება დღევანდელ საერთაშორისო სისტემაში არსებულ რთულ გამოწვევებზე.

ამასთანავე ვმუშაობ სტატიაზე „თანამედროვე რუსეთის ქცევის საწყისები“, რომელიც 2023 წლის პირველ ნახევარში გამოქვეყნდება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ჟურნალ „მოამბეში“.

ამის გათვალისწინებით, გთხოვთ გამიფორმოთ მიმდინარე საშემოდგომო და მომავალი 2023 წლის საგაზაფხულო სემესტრში საშეცნიერო-შემოქმედებითი შვებულება.

პატივისცემით,

ზურაბ აბაშიძე

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესავსები სპეციალური ანკეტა-კითხვარის ფორმა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის (*გარდა* დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, საექთნო საქმის, სამეანო საქმის, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის, ოკუპაციური თერაპიის, ფარმაციის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ქართულ ენაში მომზადების, სახელოვნებო-შემოქმედებითი, სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამებისა და სამხედრო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა) **დანართი №1**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კოდი:	
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება:	
ფაქტიური მისამართი და ტელეფონი	
ვებგვერდი	
ელ.ფოსტა	
საკონტაქტო პირი (გვარი, სახელი, ტელეფონი, ელ.ფოსტა)	
ინფორმაცია წლიური გადასახადის შესაძლო ცვლილების შესახებ	

პროგრამის დასახელება	**მისანიჭებელი კვალიფიკაცია**	**აკრედიტებულია თუ არა**	**აკრედიტაციის ვადა**	**დაფინანსება**	**სწავლების ენა**	**კრედიტების რაოდ.**	**წლიური გადასახადი**	**ადგილების რაოდ.**	**ქართ. ენა და ლიტ.**	**უცხოური ენა**	**მათემატიკა**	**ისტორია**	**ზოგადი უნარები**	**გეოგრაფია**	**ლიტერატურა**	**ფიზიკა**	**ქიმია**	**ბიოლოგია**	**სამოქალაქო განათლება**	**სახ. და გამოყ.ხელოვნება**	**პრიორიტეტები**
									1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	
სოციოლოგია	სოციოლოგიის ბაკალავრი	აკრედიტებული	15/01/2029	ფინანსდება	ქართული	240	2250	100	5	5	2	2									1-2-4/3
					კოეფიციენტები																
					ადგილების კვოტა მათემატიკის მიხედვით						14										
					ადგილების კვოტა ისტორიის მიხედვით							86									
					შენიშვნა				უცხო ენად აუცილებელია მხოლოდ ინგლისური ენის ჩაბარება												
მსოფლიოს სოციალურ-პოლიტიკური და ტურიზმის გეოგრაფია	ივი გეოგრაფ	აკრედიტებული	27/12/2028	ფინანსდება	ქართული	240	2250	50	5	5	2	2		2							1-2-6/4/3
					კოეფიციენტები																
					ადგილების კვოტა მათემატიკის მიხედვით						6										
					ადგილების კვოტა ისტორიის მიხედვით							18									
					ადგილების კვოტა გეოგრაფიის მიხედვით									26							
					შენიშვნა				უცხო ენად აუცილებელია მხოლოდ ინგლისური ენის ჩაბარება												
სოციალური მუშაობა	სოციალური მუშაობის ბაკალავრი	აკრედიტებული	30/06/2029	ფინანსდება	ქართული	240	2250	40	5	5	2	2									1-2-4/3
					კოეფიციენტები																
					ადგილების კვოტა მათემატიკის მიხედვით						8										
					ადგილების კვოტა ისტორიის მიხედვით							32									
					შენიშვნა				უცხო ენად აუცილებელია მხოლოდ ინგლისური ენის ჩაბარება												
პოლიტიკის მეცნიერება	პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრი	აკრედიტებული	27/12/2028	ფინანსდება	ქართული	240	2250	130	5	5	2	2		2					2		1-2-4/6/11/3
					კოეფიციენტები																
					ადგილების კვოტა მათემატიკის მიხედვით						10										
					ადგილების კვოტა ისტორიის მიხედვით							80									
					ადგილების კვოტა გეოგრაფიის მიხედვით									20							
					ადგილების კვოტა სამოქალაქო განათლების														20		
					შენიშვნა				უცხო ენად აუცილებელია მხოლოდ ინგლისური ენის ჩაბარება												
საერთაშორისო ურთიერთობები	საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი	აკრედიტებული	29/12/2028	ფინანსდება	ქართული	240	2250	80	5	5	2	2		2					2		1-2-4/6/3/11
					კოეფიციენტები																
					ადგილების კვოტა მათემატიკის მიხედვით						8										
					ადგილების კვოტა ისტორიის მიხედვით							32									
					ადგილების კვოტა გეოგრაფიის მიხედვით									32							
					ადგილების კვოტა სამოქალაქო განათლების														8		
					შენიშვნა				უცხო ენად აუცილებელია მხოლოდ ინგლისური ენის ჩაბარება												
ჟურნალისტიკა	ჟურნალისტიკის ბაკალავრი	აკრედიტებული	24/12/2028	ფინანსდება	ქართული	240	2250	120	5	5	2	2		2	2				2		-2-4/7/6/11/
					კოეფიციენტები																
					ადგილების კვოტა მათემატიკის მიხედვით						10										
					ადგილების კვოტა ისტორიის მიხედვით							65									
					ადგილების კვოტა გეოგრაფიის მიხედვით									10							
					ადგილების კვოტა ლიტერატურის მიხედვით										25						
					ადგილების კვოტა სამოქალაქო განათლების														10		
					შენიშვნა				უცხო ენად აუცილებელია მხოლოდ ინგლისური ენის ჩაბარება												
ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია (ქართულ-რუსულენოვანი)	სოციალური მეცნიერების ბაკალავრი	აკრედიტებული	04/12/2025	ფინანსდება	ქართული	240	2250	10	5	5	2	2		2	2				2		-2-4/7/6/11/
					კოეფიციენტები																
					ადგილების კვოტა მათემატიკის მიხედვით						1										
					ადგილების კვოტა ისტორიის მიხედვით							5									
					ადგილების კვოტა გეოგრაფიის მიხედვით									1							
					ადგილების კვოტა ლიტერატურის მიხედვით										2						
					ადგილების კვოტა სამოქალაქო განათლების														1		
					შენიშვნა				უცხო ენად აუცილებელია მხოლოდ ინგლისური ენის ჩაბარება პროგრამა ხორციელდება რუსულენოვანი კომპონენტებით												

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
დეკანს და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავჯდომარეს
ქალბატონ თამარ დოლბაიას

ამავე ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების ხელმძღვანელის
ფიქრია ასანიშვილის

განცხადება

ქალბატონო თამარ,

მოგახსენებთ,რომ ამა წლის 15 ოქტომბერს საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებაზე ჩატარდა მიმართულების სხდომა. (სხდომის ოქმი თან ერთვის) მიმდინარე საკითხებთან ერთად განხილულ იქნა საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებიდან, ფაკულტეტის საბჭოში ორი წევრობის კანდიდატის საკითხი.
ფაკულტეტის საბჭოში წევრობის კანდიდატებად დასახელდნენ ასოცირებული პროფესორი კონსტანტინე შუბითიძე,რომელიც ჩაანაცვლებს პროფესორ თორნიკე თურმანიძეს და ასოცირებული პროფესორი დავით მაცაბერიძე.
მოგმართავთ თხოვნით აღნიშნული კანდიდატები წარუდგინოთ ფკულტეტის საბჭოს განსახილველად.

პატივისცემით,

ფიქრია ასანიშვილი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების ხელმძღვანელი

19. 10.22

დანართი №1

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის თანამდებობის დაკავებასთან
დაკავშირებული საარჩევნო პროცედურების დამტკიცების თაობაზე

მუხლი 1. დეკანის არჩევნების ორგანიზაციული საკითხები

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის (შემდგომში - ფაკულტეტი) დეკანის არჩევნებს ატარებს და არჩევნების დღეს აცხადებს ფაკულტეტის საბჭო (შემდგომში - ფაკულტეტის საბჭო).

2. არჩევნების ჩატარების ძირითადი პრინციპებია:

ა) თანასწორი საარჩევნო უფლება;

ბ)ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლენა;

გ)კენჭისყრის ფარულობა.

3. არჩევნები ტარდება ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე. თუ ფაკულტეტის დეკანი არის დეკანობის კანდიდატი, მას არ აქვს სხდომის თავმჯდომარეობის უფლება და ფაკულტეტის საბჭოს სხდომის თავმჯდომარეს სხდომის დაწყებამდე ირჩევს ფაკულტეტის საბჭო.

მუხლი 2. დეკანის თანამდებობის დაკავების მსურველთა განცხადებების მიღების წესი

1. დეკანის თანამდებობის დაკავების მსურველი პირი განცხადებით მიმართავს ფაკულტეტის საბჭოს. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს დაინტერესებული პირის ვინაობა, საცხოვრებელი მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, ელ.ფოსტის მისამართი, სასურველი თანამდებობის ზუსტი დასახელება.

2. დეკანის თანამდებობის დაკავების მსურველი პირის განცხადებასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნეს:

ა) პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) ავტობიოგრაფია (CV);

გ) 2 (ორი) ფოტოსურათი (3X4);

დ) ფაკულტეტის განვითარების კონცეფცია (არაუმეტეს 5 გვერდი);

ე) ცნობა სამედიცინო ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ;

ვ) ცნობა დაკავებული აკადემიური თანამდებობის შესახებ.

3. დეკანის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატი რეგისტრირებულად ჩაითვლება, თუ იგი დადგენილ ვადაში ფაკულტეტის კანცელარიაში სრულყოფილად წარმოადგენს ამ მუხლით გათვალისწინებულ დოკუმენტაციას.

მუხლი 3. საარჩევნო ბიულეტენი

1. ფაკულტეტის საბჭოს წევრის მიერ ხმის მიცემა ხორციელდება საარჩევნო ბიულეტენზე სასურველი კანდიდატის რიგითი ნომრის შემოხაზვით და საარჩევნო ყუთში მოთავსებით. მათ დაბეჭდვაზე პასუხისმგებელია ფაკულტეტის ადმინისტრაცია.

2. საარჩევნო ბიულეტენზე აღინიშნება:

ა) დაწესებულებისა და ფაკულტეტის სახელწოდება;

ბ) ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბიულეტენი განკუთვნილია ფაკულტეტის დეკანის არჩევნებისთვის;

გ) ასარჩევი კანდიდატების ჩამონათვალი და რიგითი ნომრების თანმიმდევრობა დალაგებული ალფავიტის მიხედვით.

მუხლი 4. საარჩევნო ყუთი

1. ფაკულტეტის ადმინისტრაცია დეკანის არჩევნების ჩასატარებლად უზრუნველყოფს საარჩევნო კომისიის საარჩევნო ყუთით აღჭურვას, რომელიც კენჭისყრის დაწყებამდე მოწმდება, რათა საარჩევნო კომისიის წევრები და ფაკულტეტის საბჭოს წევრები დარწმუნდნენ, რომ იგი ცარიელია. კენჭისყრის დაწყებამდე საარჩევნო ყუთი ილუქება კომისიის წევრთა მიერ, ფაკულტეტის საბჭოს წევრების თანდასწრებით.

2.საარჩევნო ყუთი განთავსებული უნდა იყოს კენჭისყრის სხდომის ოთახში თვალსაჩინო ადგილას.

მუხლი 5. კენჭისყრის ორგანიზება

1. კენჭისყრა დეკანის ასარჩევად ტარდება 12.00-15.00 სთ, ფაკულტეტის მიერ გამოცხადებულ არჩევნების დღეს.

2. დეკანის არჩევის პროცედურების უზრუნველყოფის მიზნით, კენჭისყრის დაწყებამდე ფაკულტეტის საბჭო ღია კენჭისყრით, საბჭოს წევრთაგან ირჩევს საარჩევნო კომისიას 3 წევრის შემადგენლობით. მათ შორის ერთი წევრი არის სტუდენტი. საარჩევნო კომისიის წევრების არჩევის შემდეგ ფაკულტეტის საბჭოს წევრს უფლება აქვს ხმა მისცეს დეკანობის სასურველ კანდიდატს.

3. საარჩევნო სიაში შედის ფაკულტეტის საბჭოს ყველა წევრი. საარჩევნო სიაში მოცემულია ფაკულტეტის საბჭოს წევრის სახელი და გვარი.

4. კენჭისყრის დაწყებამდე საარჩევნო კომისიის წევრები ფაკულტეტის საბჭოს თანდასწრებით ითვლიან ცარიელ ბიულეტენებს. ბიულეტენების რაოდენობა უნდა უტოლდებოდეს ფაკულტეტის საბჭოს წევრების რაოდენობას, რომელსაც ემატება ათი სარეზერვო ბიულეტენი. სარეზერვო ბიულეტენები გამოიყენება გამოუყენებელი ბიულეტენის დაზიანების შემთხვევაში. ამ წესის მიზნებისათვის გამოუყენებელ ბიულეტენად მიიჩნევა ბიულეტენი საარჩევნო ყუთში ჩაგდებამდე.

მუხლი 6. არჩევნების პროცედურა

1. დეკანის არჩევა ხორციელდება ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე, ფარული კენჭისყრის საფუძველზე.
2. კენჭისყრის სხდომაზე ფაკულტეტის საბჭოს წევრი საარჩევნო კომისიის წევრისაგან იღებს ერთ საარჩევნო ბიულეტენს, რასაც ადასტურებს ამომრჩეველთა სიაში მისი გვარის გასწვრივ ხელმოწერით (ბიულეტენზე უნდა იყოს საარჩევნო კომისიის ყველა წევრის ხელმოწერა). შემდეგ ფაკულტეტის წევრი შედის სპეციალურად მოწყობილ საარჩევნო კუთხეში, აკეთებს არჩევანს და აგდებს ბიულეტენს საარჩევნო ყუთში. სააარჩევნო კუთხედ ითვლება ნებისმიერი განცალკევებული ადგილი, სადაც ხმის მიცემის ფარულობა დაცული იქნება.
3. ფაკულტეტის საბჭოს წევრს უფლება აქვს ხმა მისცეს მხოლოდ ერთ კანდიდატს.
4. კენჭისყრის სხდომის დაწყებიდან საბოლოო შედეგების გამოვლენამდე საარჩევნო კომისიის საქმიანობა ხორციელდება ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე, საბჭოს წევრთა თანდასწრებით.

მუხლი 7. ხმების დათვლა

1. კენჭისყრის დასრულების შემდეგ საარჩევნო კომისია ფაკულტეტის საბჭოს წევრთა თანდასწრებით ხსნის საარჩევნო ყუთს და ითვლის ბიულეტენების საერთო რაოდენობას. ბიულეტენების საერთო რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამომრჩეველთა სიაში ფაკულტეტის საბჭოს წევრთა ხელმოწერების რაოდენობას.
2. ბიულეტენების საერთო რაოდენობის დათვლის შემდეგ საარჩევნო კომისიის წევრები ითვლიან დეკანობის თითეული კანდიდატისათვის მიცემული ხმების რაოდენობას.
3. დადგენილი ნიმუშის საარჩევნო ბიულეტენი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიჩნევა ბათილად, თუ:
ა) საარჩევნო ბიულეტენი დამოწმებული არ არის საარჩევნო კომისიის წევრთა 3 (სამი) ხელმოწერით;
ბ) შეუძლებელია იმის დადგენა, რომელ საარჩევნო სუბიექტს მისცა ხმა ამომრჩეველმა;
გ) საარჩევნო ბიულეტენი არ შეიცავს მე–3 მუხლის მე–2 პუნქტით გათვალისწინებულ ყველა რეკვიზიტს.
4. ხმების დათვლის შემდეგ საარჩევნო კომისიის წევრების მიერ ივსება შემაჯამებელი ოქმი, რომელშიც შედის შემდეგი მონაცემები:
ა) ამომრჩეველთა რაოდენობა საარჩევნო სიის მიხედვით;
ბ) კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა საარჩევნო სიაში ამომრჩეველთა ხელმოწერების მიხედვით;
გ) საარჩევნო ყუთში აღმოჩენილი საარჩევნო ბიულეტენების საერთო რაოდენობა;
დ) ბათილი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა;
ე) თითოეული კანდიდატის მიერ მოპოვებული ხმების რაოდენობა;
ვ) კომისიის ყველა წევრის ხელმოწერა.

მუხლი 8. არჩევნების შედეგების შეჯამება

1. დეკანის არჩევნები ჩატარებულად ითვლება, თუ მასში მონაწილეობა მიიღო ფაკულტეტის საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა.
2. დეკანის თანამდებობაზე აირჩევა კანდიდატი, რომელსაც ხმას მისცემს ფაკულტეტის საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობა.
3. იმ შემთხვევაში, თუ დეკანის არჩევნებში მონაწილე კანდიდატთაგან ვერც ერთი მიიღებს ფაკულტეტის საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობის მხარდაჭერას, ტარდება არჩევნების მეორე ტური. არჩევნების მეორე ტური გაიმართება იმავე დღეს, არჩევნების პირველი ტურის დასრულების შემდეგ არა უგვიანეს 1 (ერთი) საათისა.
4. არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობს პირველი ორი საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატი. იმ შემთხვევაში, თუ პირველი ტურის შედეგების მიხედვით ხმები გაიყო თანაბრად პირველ ან მეორე საუკეთესო შედეგის მქონე ორ ან მეტ კანდიდატს შორის, რის გამოც არ გვყავს მეორე ტურში გამსვლელი მხოლოდ ორი კანდიდატი, არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ პირველი ორი საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატები, რომელთაც თანაბარი ხმების რაოდენობა მიიღეს ან საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატთან ერთად ის კანდიდატები, რომელთაც მეორე შედეგი აჩვენეს და მათ შორის ხმები თანაბრად გადანაწილდა.
5. იმ შემთხვევაში, თუ არჩევნების პირველ ტურში მონაწილე მხოლოდ ერთადერთი კანდიდატი, ან მეორე ტურში დეკანობის ვერც ერთი კანდიდატი ვერ მიიღებს ფაკულტეტის საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობის მხარდაჭერას, ფაკულტეტის საბჭო უნივერსიტეტის წესდებით გათვალისწინებული პროცედურის მიხედვით ნიშნავს ხელახალ არჩევნებს არა უგვიანეს 5 დღის განმავლობაში.

მუხლი 9. არჩევნების შედეგების გამოცხადება

ფაკულტეტის საბჭოს იმავე სხდომაზე კენჭისყრის შედეგების გამოვლენის შემდეგ, საარჩევნო კომისია შემაჯამებელი ოქმის საფუძველზე აცხადებს არჩევნების შედეგებს.